№ 2718
ოთხშაბათი,
5 იანვარი

ცნობის ფურცელი

იანვარი

ხელის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-[illegible]—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible]. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით **6** მან.

ფასი გაზეთისა გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენი [illegible] ველ მარტამდე.

საზღვარ გარედ ერთის წლით **9** მან.

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით **10** მან.
ცალკე №—1 მან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით ხელს მოაწერს, სურათებიანი დამატებანი „ცნობის ფურცელი“

საზღვარ გარედ ერთის წლით **13** მან.
ცალკე №—1 მ. 20 კ.

უფასოდ გაიგზავნება

[illegible] ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარემცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ [illegible]ისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემის, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ცალკე წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებ.

ეს თხზულება ნათარგმნია **ნიკოლოზ ავალიშვილის** მიერ და შედარებულია **ჟიარდოს** ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე რაჟიშვილის** დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სურათით) პრემიად დარიგებულ **უაზბეგის ნაწერების ფოტისას**

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელისმწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის [illegible]ძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მო[illegible] მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელისმომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შე[illegible] 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანცელარიის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. [illegible]

ილია სპირიდონის ძე მხეიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს გარდაცვალებას საყვარლისა მეუღლისისა

მარიამ გიორგი ძიძიკაშვილის ასულისას,

და უმორჩილესად სთხოვს ნათესავთ და ნაცნობთ მობრძანდნენ ამა იანვრის 8, დილით შაბათს სოფ. თერჯოლას, თავის სახლში დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას.

(1—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი (აბონემენტის რიცხვში)

პარასკევს, 7 იანვარს, 1905 წელს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი ჯიბგირი

პიესა 5 მოქ. და 7 სურათად დე-კურსელისა, თარგ. ვ. აბაშიძის-მიერ.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. **დაწყისი საღამოს 8 საათზე.**
მორიგი რეჟისორი: **კ. მესხი.**

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

ხუთშაბათს, 6 იანვარს, 1905 წელს, წარმოდგენილი იქნება:

დილით **„ტრუბადური“**, საღამოს **„ბოკაჩიო“**.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტომკეეიჩი, ორელი, ბ-ნნი: დონსკოი, კომაროვი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, სპერანსკი, [illegible] ბაგროვი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

7 იანვარს—ქართული წარმოდგენა—„ორი ჯიბგირი“.

გამგე ი. ა. გეცევიჩი.

ხუთშაბათს 6 იანვარს 1905 წ.

ტფილისის კრუჟოკის დარბაზებში
ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გაიმართება

რაუტი

საკონცერტო განყოფილებით და მოყვარულთა სპექტაკლით. თავაზიანობით მონაწილეობას მიიღებენ ქალბატონნი ვ. მ. ამირაჯიბი, ქ.-ბ. ვ. ტ.—ძე. ნ. ა. [illegible], ნ. პ. ჩხეიძე ბატონი ვილშაუ, ა. ი. ყანჩელი, მ. ფ. ქორიძე, ნასიძე და სხვანი.

გულ-ამოჭრილი კაბა ქალთათვის და ფრაკი სამოქალაქოთათვის სავალდებულო არაა; სამხედრო და სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთათვის დაწესებული ფორმა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

შესავალ ბილეთების ფასი 2 მ. 10 კაპ. შეიძლება დროითვე მიიღოს მსურველმა რაუტის მასპინძლის სკოლის გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ქალბატონის მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანისაგან, (ნიკოლოზის ქუჩა № 106) ხოლო რაუტის დღეს—კრუჟოკის სადგომში.

(4—434.—4)

[illegible]ვირად, ამ წლის იანვრის 9 ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზე, დანიშნულია პირველი საგანგებო კრება ტფილისის **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა** შემდეგის საგნების განსახილველად:

1) საზოგადოების წევრთა არჩევანი;
2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი;
[illegible] დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობ[illegible]

(5—1)

1905 წელს

„მგზავრი“

„მგზავრი“ ყოველ-კვირეულ გაზეთად, ახალის პროგრამით და მიმართულებით. ფასი 5 მანეთია წელიწადში, რომელსაც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს: 3 მანეთი ხელის-მოწერისას და დანარჩენი 2 მანეთიც პირველ მაისისათვის. პირველი ნომერი გამოვა 16 იანვარს. ტფილისში ხელის მოწერას მიიღება „მოგზაური“-ს რედაქციაში (Тумановскій переулокъ, № 38) და წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარეთ მცხოვრებმა წერილები და ფული უნდა გამოგზავნონ ფოსტით ამ ადრესით: Тифлисъ, редакція «Могзаури».

რედ.-გამომცემელი **ივანე პ. როსტომაშვილი**

(5—1)

კბილის ექიმი
სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 9 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი „კრუჟოკის“ გვერდით. (—6.—16)

ტფილისში
[illegible] ექიმი
[illegible] ქინაშვილი

გადავიდა [illegible] ქუჩაზე წმ. ნინოს ქალების [illegible] პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის [illegible] საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

(30—0198—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მოწინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

ტელეფონი № 274.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და [illegible] ქუჩების კუთხეში.

ექიმი
ა. ნ. თუთარაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—34)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—24)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—7)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბებიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიაო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—8).

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—6½ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავათმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—13)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—14)

ექიმ
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 იანვარი.

პეტერბურგი. გენერალ ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 2 იანვარს 1905 წელს: „ამ დღეს მივიღე ორი მოხსენება ჩვენის ცხენოსან ჯარის მოქმედების შესახებ: 28 დეკემბერს საღამოთი ჩვენმა ცხენოსნებმა ამოჟლიტეს ქვეითა ჯარის როტა ნახევარი და დრაგუნთა ნახევარი ესკადრონი. ჩამობნელებისას იაპონელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს და გაიქცა. 19 დეკემბრის ღამეს ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა გააფუჭეს რკინის გზის ლიანდაგი, სატელეგრაფო მავთულები და უბედურება შეამთხვიეს მატარებელს, რომელსაც ორი ორთქლმავალი ჰქონდა. 29 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა სროლის შემდეგ დაიჭირა ნიუ-ჩუანი. ქალაქში იყო ერთი როტა და ორი ესკადრონი, რომელნიც მაშინვე წავიდნენ. როტა ჩუმად წავიდა, მაგრამ ჩვენებმა მაინც იპოვნეს, სდევნეს საღამომდე და სრულიად დაამარცხეს. ამის გარდა ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გზაზე დაამარცხა სხვა და სხვა პატარა რაზმები. ორ დღეში ჩვენებმა ხელთ ჩაიგდეს 500 ურემი სურსათი, რომელთაც იაპონელი ცხენოსანნი ახლდნენ. ტყვედ წამოიყვანეს ერთი აფიცერი და 14 სალდათი. ჩვენ ამ ორ დღეში მოგვიკლეს და დაგვიჭრეს ათი აფიცერი; სალდათი მოგვიკლეს თხუთმეტი და დაგვიჭრეს ცხრამეტი. 29-დან 30 დეკემბრამდე გაგზავნილმა რაზმებმა წაახდინეს რკინის გზის ლიანდაგი სოფელ ჩენძისთან, ინკოუს სადგურიდან ექვს ვერსზე. 30 დეკემბერს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ერთი ჩვენი რაზმი ინკოუსთან მივიდა იმ პოზიციიდან, რომელიც სოფლებს სიხუანსა და ხუანტაისთანაა. ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ინკოუს სადგურს და ცეცხლი გაუჩინა სადგურის მახლობლად საწყობებს. ჩამობნელებისას რაზმის ნაწილმა, ჩამოქვეითებულმა, დასავლეთიდან იერიში მიიტანა სადგურ[illegible] ცეცხლის სინათლეზე იაპონელებმა დაინახეს ჩვენი რაზმი და სროლა დაუწყეს თოფებიდანა და ტყვიის მტყორცნელებიდან. ჩვენი ჯარი თხრილებში ჩაიმალა, შემდეგ ხელახლა მიიტანა იერიში და მივიდა რკინის გზის ლიანდაგამდე. ბრძოლის დასასრულ გამოირკვა, რომ ტაშიჩაოს მხრიდან მოდიოდა იაპონელთა ძლიერი რაზმი. ჩვენები ცოტანი იყვნენ და სიმაგრეს ვერ აიღებდნენ, ამიტომ უკან დაიხიეს. ჩვენებმა წამოიღეს ინკოუს ბრძოლაში მოკლულნი გვამები. და წამოიყვანეს დაჭრილნი. ინკოუში ცეცხლი საწყობებს მთელ ღამეს ეკიდებოდა. ამ ბოლო დროს ღამე ყინვები იყო, დღისით-კი მზეა და თბილა. ყინული მდინარეებში საჩქაროდ დნება.

პეტერბურგი, 22 დეკემბერს, 1904 წელს, როცა ხელმწიფე იმპერატორი მინსკში მიბძანდა, მინსკის გუბერნიის თავად-აზნაურობამ მის უდიდებულესობას 26 ათასი მანეთი მიართვა—ომის საჭიროებისათვის. მიიღო-რა ეს შეწირულება, ხელმწიფე იმპერატორმა მინსკის თავად-აზნაურობას მადლობა გამოუცხადა უხვ შეწირულებისათვის და 1904 წ. 31 დეკემბერს საიმპერატორო კარის მინისტრს უბრძანა, შეწირული 26 ათასი მანეთი მის უდიდებულესობის ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის უავგუსტოესის მფარველობის ქვეშ მყოფ სამზრუნველო საზოგადოებას გადაეცეს, რომ ამ ფულიდან შემწეობა განსაკუთრებით პორტ-არტურის დამცველთა ოჯახებს მიეცესო.

ტოკიო, 3 იანვარი. გენერალი მიშჩენკო გადავიდა მდინარე ლიაოხეზე, ბრძოლის ასპარეზის საზღვარს გადასცილდა და ამნაირად დაარღვია ჩინეთის ნეიტრალიტეტი. რუსეთის ნოტაზე პასუხში იაპონიის მთავრობამ აღნიშნა ეს გარემოება.—კუროკის არმიაში მყოფი აგენტები მალე პორტ-არტურს წავლენ ქალაქისა და სიმაგრეების სანახავად.—გენერალმა სტესელმა მიიღო ნაგასაკის გუბერნატორი და მოხელეები; იგი ოთხშაბათს, 5 იანვარს, გაემგზავრება საფრანგეთის გემით.

კოლომბო, 3 იანვარი. აქ მოსული გემი „კაზანი“ ამბობს, რომ 31 დეკემბერს კვილონისა და მადრასის ახლო შენიშნეს 4 გემი. ჰფიქრობენ, რომ იაპონიის ტრანსპორტები იყო ნახშირით.

ბერლინი, 3 იანვარი. „ალგემაინე [illegible]ტუნგ“-ში გამოქვეყნებულია დე[illegible] იმპერატორ ვილჰელმისა და პასუხები გენერლების სტესელისა და ნოგისა „პურ ლე მერიტ“-ის ორდენის ბოძების გამო. სტ[illegible]სელთან გაგზავნილ დეპეშაში იმპერატ[illegible] ამბობს, რომ ეს ჯილდო არის ნიშანი [illegible] ზღვრო და უდიდესს განცვიფრებისა [illegible] მელსაც იმპერატორთან ერთად გ[illegible] მთელი ჯარი გრძნობს გენ[illegible] თავდადებულ მამაცების გმირულ[illegible] თვის. ნოგისთან გაგზავნილი [illegible] გვარივე იყო. სტესელმა უპასუ[illegible] პერატორის დეპეშა მოუვიდ[illegible] ლის უმძიმესს წამში; თ[illegible] მეცა და მთელი გარნიზონიც ღრმად ვგრძნობთ პრუსიის მაღალ ორდენის ბოძებასო.—დეპუტატების პალატაში ოპოზიციის დეპუტატების შეკითხვაზე ორდენის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სტესელმა და ნოგიმ დაიმსახურეს ისტორიაში ისეთი დიდება, რომელიც ფერს არ იცვლის იმის შემდეგაც, როცა ჩვენი ძვლები მტვრად იქნება გადაქცეულიო. მადლობას უნდა ვგრძნობდეთ გერმანიის იმპერატორისადმი, რომ დააჯილდოვა ასეთი გამოჩენილი გმირები.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

2 იანვარი

სახეტუნი, 3 იანვარი. ჩვენი ყაზახთა რაზმები დროთი დრო თავს ესხმიან იაპონელთა მარჯვენა ფრთის ჯარებს, შორს მიდიან, აშინებენ იმათ ზურგიდან, აფუჭებენ გზებს, ტელეგრაფის მავთულებს და ანადგურებენ სურსათს. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ხორუნჟი ზამიატინის და პოდესაულის რინდინის რაზმებმა გაიარეს ტაიძხე, ლიაოიანისა და ინკოუს გზას მიახ[illegible]. გზაში ხვდებოდათ იაპონელთა რაზმები და ხუნხუზებისაგან შემდგარი ბრბო, რომელთაც იაპონელები [illegible]. რუსის ყაზახების რაზმი ღამ-ღამე მიდიოდა წინ. ორივე რაზმებმა გაანადგურეს და წამოიღეს მრავალი სურსათი. სოფლებ პაოძეტ[illegible]ტაისთან, ლიაოხეს რაიონში რაზ[illegible] ხდა ბრძოლა იაპონელთა უფ[illegible] ცხენოსან რაზმთან, რომელსაც [illegible] ხუნხუზები. ჩვენი რაზმები დაბრ[illegible]ენ მცირე ზარალით და ბევრი საყურადღებო ამბავი მოიტანეს.

ინკოუ, 3 იანვარი. გენ. ოკუმ 3 ათასი კაცი გაგზავნა და რუსის რაზმებს, რომლებიც იაპონიის არმიას ზურგიდან მოექცნენ, გზა მოუჭრა.

ლონდონი, 3 იანვარი. „დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ჩიფუდან, რომ რუსის ყაზახებმა განგებ, იაპონელების შესაცდენად მიიტანეს ნიუჩუანზე იერიში; რუსის კავალერიის უმთავრესი რაზმი-კი ამავე დროს მდ. ლიაოხეს ნაპირ-ნაპირ მიდიოდა ქვევითკენ. თბილი ამინდი ხელს უწყობს ამისთანა მოქმედებას.

ნაგასაკი, 2 იანვარი. იაპონელებმა დაიჭირეს ნახშირით დატვირთულ გემი „ლემინგტონ“-ი, რომელიც ვლადივოსტოკს მიდიოდა. სტესელი და სხვა აფიცრები პორტ-საიდის გზით გაემგზავრებიან ევროპაში.

ბერლინი, 3 იანვარი, „ლოკალ-ანცაიგერ“-ი იუწყება, რომ სტესელი მეუღლით 4 იანვარს წავა ნაგასაკიდან. გუშინ სტესელმა დეპეშით მადლობა გამოუცხადა იმპერატორ ვილჰელმს.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საუბარი კაპიტან კლადოსთან. ფ[illegible] გულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონ[illegible] ცნობილ რუსის კაპიტან კლადოსთ[illegible] უბრნია იაპონიისა და რუსეთის ფ[illegible] და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრ[illegible]

—ამბობენ, ადმ. როჟესტვე[illegible] დრის გასტუმრების დროს [illegible]ურ აფიმირალო იძულებული იყ[illegible]რის აფიცრების მაგივრად ხმ[illegible]უკითხავს კორესპონდენტს. [illegible] ცრები გაეგზავნ[illegible]

[illegible]ეულილია,—უთქვამს კაპიტან კლა-

—[illegible]ეგ ხმა, ალბად, იმიტომ გავრცელდა, რომ მატროსების სასწავლებლად ქვეითა ჯარის აფიცრებს მოვიწვევთ ხოლმე. ასე იმიტომ ვიქცევით, რომ რუსის გემები წე-

6 თვეს დაჲიან ზღვაში, დანარჩენ დროს რუსეთის ნავთ-სადგურები იყინება. ზამთარში მატროსები ნაპირზე გადადიან და ქვეითა ჯართან ერთად სწავლობენ. გემებზე კი მეზღვაური აფიცრები არიან.

— მაშასადამე მეორე ესკადრას მეზღვაურებიც კარგი ჰყავს და სხვაფრივაც არა აკლია-რა?

— ნამდვილად, ეგრე რომ არ იყოს, იმ სიშორე გზას როგორ გაივლიდა. ჩვენი გემები მშვენიერ მდგომარეობაშია და სულაც არ დაზიანებულან. ეჭვი არაა, ადმ. როჟესტვენსკი თავის პლანს შეასრულებს.

— განა პორტ-არტურის აღება პლანს არ გამოაცვლევინებს ადმ. როჟესტვენსკის.

— არ შეაცვლევინებს. ჩვენ წინადვე ვიცოდით, რომ პორტ-არტური ესკადრის მისვლამდე ვერ გასძლებდა.

— ეხლა, რაკი იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, მეტად ძნელი იქმნება იმათი განდევნა იქიდან.

— მაგის იმედი ნურავის ექმნება. პორტ-არტურს ვერას დროს ვერ დავიბრუნებთ, თუ ჯერ ზღვაზე ბატონობას არ მოვიპოვებთ. გინდ რამდენიმე მილიონი სალდათიც ჩავიყვანოთ, მაინც ვერ ავიღებთ პორტ-არტურს, სანამ ზღვაზე ბატონობას არ მოვიპოვებთ.

— მაშ ომი ძლიერ დიდ ხანს გასტანს?

— უეჭველია, დიდ ხანს გასტანს, თუ მოულოდნელი რამ არ მოხდება! იაპონელებს 10 თვე დასჭირდათ მდ. იალუდან მუკდენამდე მისასვლელად. ჩვენც ნაკლები ხანი არ დაგვჭირდება, რომ იაპონელები იმავე გზით განვდევნოთ. თუ ჩვენ გულადები ვართ, იაპონელებიც გულადები არიან. იაპონელები წინ რომ მოდიოდნენ, გზა და გზა ყველგან სიმაგრეებს აშენებდნენ. ჩვენ ჯარს ამ სიმაგრეების აღება მოუხდება; იაპონელები მედგრად დაიცავენ თავიანთ პოზიციებს. შემდეგ, როცა მდინარე იალუზე გადავალთ და როცა ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე მივალთ, წინ ძლიერი სიმაგრე—პორტ-არტური დაგვიხვდება; იაპონიის ფლოტი ზღვაში იბატონებს და პორტ-არტურსა და იაპონიის შუა ივლის.

— მაგრამ იმ დრომდე იქნება სამხედრო ვითარება შეიცვალოს. ადმ. როჟესტვენსკი მივა. იაპონიის ფლოტი დაიღლება; ზარბაზნები, მაშინები წაუხდებათ უსათუოდ.

— ეგ სისულელეა! იაპონიის ფლოტი მშვენიერ მდგომარეობაშია. ამბობენ, იაპონიის ზარბაზნებმა იმდენი ყუმბარა გაისროლეს, რომ ეხლა მეტი სროლა აღარ შეუძლიანთ და სულ აღარაფრად არ ვარგანანო. მაგრამ იაპონელებმა ძველი ზარბაზნების მაგივრად სულ ახლები დადგეს. ზარბაზნის გამოცვლა ძლიერ ადვილია, გინდ მაღლა კოშკზედ იდგეს. კოშკს ბანსა ხდიან, ზარბაზანს ლაფეტიდან (რაზედაც სდგა) იღებენ, ნაპირზე გადმოაქვთ, იმის ადგილას სხვასა სდგამენ და ყველაფერი მზადაა. ამ საქმეს სამ-ოთხ დღეზე მეტი არ უნდება. იაპონელები ზარბაზნებს უცხოეთში ჰყიდულობენ. იმათ საზღვაო არტილერიის მომეტებულ ნაწილად არმსტრონგის ზარბაზნები აქვს და ეს ფირმა დღემდე უგზავნის იაპონიის ზარბაზნებს. ამბობენ აგრეთვე, ვითომ იაპონელები ცუდად ამზადებენ ყუმბარებს, იმათი თოფის წამალი ცუდიაო და მრავალ ამისთანა სისულელეს. იაპონელებს ყუმბარებიც აქვთ, თოფის წამალიც და ომმა დაამტკიცა,რომ კარგი თოფის წამალიც ჰქონიათ. ეს საქმე კარგად ვიცი და ვიცი ისიც, რომ იაპონიის ფლოტი ეხლაც თითქმის იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც ომის დაწყების დროს იყო.

— 28 ივლისის საზღვაო ბრძოლას დიდი გავლენა უნდა ექონია სამხედრო ვითარებაზე, არა?

— დიახ, მაგრამ მაგისთვის ბრძოლა იყო საჭირო, რუსის ესკადრა-კი სულ სხვანაირად მოიქცა. ადმ. ვიტგეფტის სიკვდილის შემდეგ, რუსის ესკადრა აქეთ-იქით გაიფანტა. ეს ძლიერ ამცირებს ჩვენს თავმოყვარეობას, მაგრამ ფაქტი მაინც უნდა აღვიაროთ. ჩვენი ესკადრა რომ იაპონიის ფლოტს დასცემოდა, რამდენსამე ფლოტს ჩასძირავდა, ადმ. ტოგოს ფლოტს დიდ ზიანს მიაყენებდა და რამდენსამე გემს ორიოდე თვეს მაინც ბრძოლის თავი აღარ ექნებოდა. მაშინ წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა, უეჭველია, ზღვაში ბატონობას მოგვიპოვებდა; უმისოდ-კი იაპონიას ვერას დროს ვერ ვაჯობებთ.

ავსტრიელ გენერლის აზრი პორტ-არტურის აღებაზე. ავსტრიის არტილერიის ინსპექტორს გენერალ ალფრედ ფონ კროპაჩეკს „ნოიე ვინერ ცაიტუნგ“-ის თანამშრომელთან უსაუბრნია პორტ-არტურის აღებაზე და, სხვათა შორის, უთქვამს: პორტ-არტურის აღება არა თუ მარტო რუსეთს, მთელ ევროპასაც ასწავლის ჭკუას. ამ ხანგრძლივ ბრძოლას პორტ-არტურთან დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. თუ რამდენად მძიმეა ეს ბრძოლა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ პორტ-არტურთან მოპირდაპირეებმა დაძველებულ ხერხსაც კი მიჰმართეს. ამ ბრძოლის სიძნელის გაგება მხოლოდ სპეციალისტს, არტილერიის საქმის მცოდნეს შეუძლიან. ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიდ ზარალის მოტანა შეუძლიან მარტო ერთ ზარბაზანსაც-კი...

თანამშრომელს უთქვამს, იაპონელებმა დიდი გულადობა გამოიჩინეს პორტ-არტურთან, რუსები სეტყვასავით აყრიდნენ ყუმბარასა და ტყვიას, მაგრამ იაპონელები მაინც არ შინდებოდნენ და წინ მიდიოდნენო.

— ეგრეც უნდა ყოფილიყო!—უთქვამს გენერალს და რუსის ჯარის გულადობაც ქვებით მოუხსენებია... ციხეს ყველაზე უკეთესად სალდათის მკერდი იცავს,მაგრამ სამხედრო ტეხნიკა ეხლა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის მოხმარებასაც თხოულობს და იაპონელებმა შესანიშნავად აასრულეს ეს მოთხოვნილება. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა განვითარებას მიაღწიეს იაპონელებმა. აბა მოიგონეთ, 10 წლის წინად როგორ ეომებოდნენ ჩინეთს. იაპონელებმა ძველი ჭეშმარიტება დაამტკიცეს: ძლიერი ისაა, ვინც ძლიერ მტერთან იჩენს ძალას. იაპონელები ჩინეთის ომში გამოიცადნენ და ეს გამოცდილება ეხლა ჩვეულებრივის სიდინჯით გამოიყენეს. არა თუ მარტო პორტ-არტურის აღებით, იაპონელებმა მანჯურიაშიაც ისახელეს თავი და საპატიო დიდება მოიპოვეს. ეხლანდელ ომში არტილერია პირველ როლს თამაშობს და ამას იქით ხომ ეს როლი უფრო გაძლიერდება. არტილერიას ეხლა გულ-და-გულ ბრძოლის დროსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, რასაკვირველია, უკანასკნელ წამს ქვეითა ჯარი სწყვეტს ბრძოლის ბედს. მტრის საბოლოოდ დამარცხება მხოლოდ ქვეითა ჯარს შეუძლიან... ძნელი გამოსაცნობია, რა გავლენას იქონიებს ომის მომავალ მიმდინარეობაზე პორტ-არტურის დაცემა. რუსეთს ძლიერ გაუტყდა სახელი და ამიტომ არა მგონია, რომ პორტ-არტურის აღებით ომი დასრულდეს. („ნ. დ.“).

მუკდენში. „ბერლინერ ლოკ. ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: რუსის არმიის მთავარ-სადგომში პორტ-არტურის აღების ამბავი მარშალ ოიამას წერილიდან გაიგეს. იაპონიის მთავარსარდალმა წერილი გამოუგზავნა გენ. კუროპატკინს და პორტ-არტურის დაცემის ამბავი შეატყობინა. ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან მუკდენში არ ელოდნენ, რომ პორტ-არტური ასე მალე დაეცემოდა. პირიქით, ბოლოს დროს ცნობები მოდიოდა, რომ პორტ-არტური კიდევ კარგა ხანს გასძლებსო. („ნ. დ.“).

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. გაზ. „სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: პორტ-არტურის დაცემამა და იაპონიის ფლოტის განთავისუფლებამ სულ ძირეულად შესცვალა იაპონიის მდგომარეობა. აქამდე იაპონელი აფიცრები წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის მოსვლას ელოდნენ, ეხლა-კი მხნედა და დაუყონებლივ შეუდგებიან საზღვაო მოქმედებას. იაპონელი ადმირალები ამას იქით ერთ წამს აღარ დაჰკარგავენ ტყუილ-უბრალოდ; ან იაპონიამ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ევროპაში უნდა დააბრუნებინოს, ან არა და იაპონიის ფლოტი გაბედულად უნდა მოიქცეს. თუ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთისაკენ გაემართება, იაპონელები შორს წავლენ და გზაში მიეგებებიან, მაშველი კრეისერები ქვა-ნახშირის მზიდველ ტრანსპორტებს დაეცემიან და ხელში ჩაიგდებენ. იაპონელებს იმედი აქვთ, რომ ამ ხერხით რუსეთის ფლოტს წინ აღარ გავუშვებთო. („პ. ვ.“).

ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტები დეპეშით იუწყებიან ტოკიოდან: იაპონელებს არა სჯერათ, რომ ის ხმა, ვითომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას უკან აბრუნებდნენ, მართალი იყოს. იაპონელები ამბობენ, თუ ეს ხმა გამართლდა, მაშ პეტერბურგში შეუგნიათ, რომ ადმ. როჟესტვენსკის არ შეუძლიან სხვა მაშველ ესკადრის დაუხმარებლად ადმ. ტოგოს ესკადრასთან ბრძოლაო. იაპონელები მაინც ჰფიქრობენ, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა უკან არ დაბრუნდება, სადმე დადგება მაშველ ესკადრას მოუცდის და თავის მეზღვაურებს გაავარჯიშებს საზღვაო საქმეში. ერთმა იაპონელმა მეზღვაურმა სთქვა ამის თაობაზე: „იაპონია დინჯად მოუცდის ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის მოსვლას შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში. მალე რომ მოსულიყო, მშვენიერის საზღვაო ბრძოლით გავუმასპინძლდებოდით. ეხლა-კი მომავალ ბრძოლისათვის უნდა მოვემზადოთ. როგორც წინად, ისე ეხლა რუსის ესკადრისა სრულობით არ გვეშინიანო“. („ნ. ლ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რუსეთმა მოლაპარაკება გამართა ჩილის მთავრობასთან ფლოტის სყიდვის თაობაზე. იაპონიამ გაიგო ესა და ჩილის მთავრობას ულტიმატუმი გაუგზავნა, თუ რუსეთს ფლოტს მიჰყიდით, დაუყოვნებლივ ომს გამოგიცხადებთო. ჩილის მთავრობას შეეშინდა და რუსეთთან მოლაპარაკება მოსპო. მაშინ რუსეთმა არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას სთხოვა, რამდენიმე სამხედრო გემი მომყიდეო. იაპონიამ არგენტინასაც ასეთივე ულტიმატუმი წარუდგინა. ულტიმატუმის მიღების შემდეგ არგენტინამ რუსეთთან მოლაპარაკება შესწყვიტა. („რ.“).

„ნოიე ფრაიე პრესე“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ვიცე-ადმირალმა ფელკერზამმა დეპეშა გამოუგზავნა რუსეთის საზღვაო მინისტრს, ორს ჩემს კრეისერს მაშინები იმდენად დაუზიანდა, რომ ძველ მაშინების მაგივრად უსათუოდ ახალი მაშინები დასჭირდებათო. ამას გარდა ადმირალი მცოდნე მაშინისტების გამოგზავნასაც თხოულობს. („ო. ნ.“).

ადმ. ფელკერზამი წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის მეორე რაზმს უფროსობს. ეს რაზმი მეწამულ ზღვიდან გავიდა და კუნძულ მადაგასკარისაკენ გაემართა, როგორც დეპეშებიდანა სჩანს.

„ხოვოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება ბერლინიდან: საზღვაო საქმის მცოდნე ხალხისა და სპეციალისტების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ იაპონელებმა წყნარ ოკეანეში ბატონობა უცილობლად დაიმკვიდრეს და, ვიდრე ომი არ გათავდება, ეს ბატონობა არ მოეშლებაო. ბერლინში ფიქრობენ, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას დააბრუნებენო.

ვლადივოსტოკი. ლონდონიდან დეპე ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: ხმა და იაპონელები გენზანიდან (ჩრდილოეთ მოსავლეთ კორეიაში, ზღვის პირას) ვლ ვოსტოკისაკენ მიდიანო.

„სტანდარდ“-ი იუწყება: იაპონელ კუნძულ სახალინის დაჭერასა და იქ ბა გამართვას აპირობენ ვლადივოსტოკის წ აღმდეგ სამოქმედოდო. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ კავკასიის **მთავარ. მართებლის თა დებობის აღმასრულებელი** გენერალი ლამა ბაქოდან დაბრუნდება დღეს, 5 იანვ

◆ როგორც ამას წინად ვწერდით, **მრევლო სკოლების ახალი პროგრამა** დაამტკიცა უწმ. სინოდმა ამ ახალ პრ რამის ძალით, საგნების ნუსხიდან (рас дѣленіе уроковъ) ქართული ენა გამოტ ბულია. შეტანილია მხოლოდ: სამ სჯული, რუსული ენა, ანგარიში და გ ბა. სამღრთო სჯული იმ სკოლებში, სა ყველა მოსწავლე ერთის ტომისაა, ასწავლონ ბავშვების ენაზე, სადაც არულ რუსულ ენაზე. რუსულ ენის სწავ შედგენილის სახელმძღვანელოთი იქნება. მრევლო სკოლების საოლქო საბჭომ შ ცელის სახელმძღვანელოები უკვე მი და ამ სახელმძღვანელოების მეთოდიკ დაუგზავნა მასწავლებელთ გასაცნობ თვით სახელმძღვანელოების გაგზავნა საბ მომავალ სამოსწავლო წლის სექტემბრის გადასდო.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დართო **კავკასიის სცენაზე ქართულად მდეგ პიესების** წარმოდგენისა: „ჭრიჭ კომედია 5 მოქ. თხზ. კეიზერისა, თარგ. ახალშენიშვილის მიერ, „მეზობლები“, მა 4 მოქმ. თხზ. ი. რამიშვილისა, „ჩ ნაცნობები“, კომედია 1 მოქ. თხზ. კ. დაშვილისა, და „ბრძოლა არსებობისათვ თხზ. გაბრუაშვილისა.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების რექტორმა გუშინ ტფილისის ქალაქის გეობას წარუდგინა გეგმა **დიდუბეში გ ყვანად განზრახულ ელექტრონის ტ ვაისა.** დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, დაამტკიცოს გეგმა, რადგან უს ლო საზოგადოება ამ ცოტა ხანში ა მუშაობის დაწყებას.

◆ 12 იანვარს, მოსკოვის უნივერსი ტის დაარსების დღეს (ტატიანის დღ ჩვეულებრივ ბალის ნაცვლად **სტუდენ სასარგებლოდ** გაიმართება სახაზინო თეა ში საოპერო წარმოდგენა საკონცერ განყოფილებით. 4 იანვრიდან ბილეთ იყიდება ხიდიკელის მაღაზიაში.

◆ 3 იანვარს, ა. პ. ფიშერის თავმჯ

ფელეტონი

არ მჯერა!

„გაზაფხულით“ მესმის ხმა ტკბილი,
„გაზაფხულით“ ხარობს ქვეყანა;
მაგრამ ხმა იგი გულს გაცივებულს
გააცოცხლებს და... გაათბობს განა?

⁂

არ მრწამს... ნუ მეტყვით, გაიხარეო!
ამ ბედის პატრონს რა გაახარებს?
აღშფოთებულს სულს, დიდის ხნით ტანჯულს,
სუსტი იმედი ვერ დააწყნარებს.

⁂

არა!.. არ მჯერა, ჩემსა ქვეყანას
ეღირსოს სხივი გაზაფხულისა,
შესწყდეს ოხვრა და... მოისპოს კვნესა
ასე სასტიკად დაჩაგრულისა.

4 იანვარი 1905 წ. **ვლ. მიქელაძე**
ტფილისი.

აღდგომა „კალისტრატიზმისა“

(ქუთაისის ბანკობანა)

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაიწკეპლა თავი „უნტერ-აფიცერზმამ“ (ქუთაისის „ინტელიგენციის“ ისტორიიდან)

19 დეკემბერს ქუთაისში მოხდა ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა კრება, თანახმად სამინისტროს მოწერილობისა. მრავალი წერილი დაიბეჭდა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის შესახებ და საკმაოდ ნათლად მხრითა ამ ბანკის მდგომარეობა. ერთის რეშე მიზეზთ, მიზეზებმა, და მეორეს—ამ გამგეთა დაუდევრობამ შექმნილმა ბანკის გამოუხსნელი მდგომარეობამ ქუთაისის ბანკის ტევის, რომ ყოფილს გამგეობას ვერავინ იტნებით, თუ უნებლიეთ ადევს ბრალდებებით, მდგომარეობის შექმნისა და აუცილებელ სხვათა თავი დაღწევისა ბანკის საქმეთა მართვა-გამგეობისათვის.

სხვა არა იყოს-რა, თითქმის მეოთხედ საუკუნის განმავლობაში არსებითად იცვალა სახე ჩვენმა საზოგადოებამ. საზოგადოებაში სხვა კომერციული ჩვეულებანი დამყარდა, საზოგადოება თან-და-თან იდგამს ფეხს კაპიტალისტურ ნიადაგზე და ძველს ჩვეულებასა და წესებს მიჩვეულმა გამგეობამ ვეღარ შეითვისა ეს ახალი ჩვეულებანი, ვეღარ შესძლო ახალის ხანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამიტომ გამგეობა აუცილებლად უნდა გადამდგარიყო. ამას ჩვენ „პოსტ-ფაქტუმ“ არ ვამბობთ, ამაზრისა ვიყავით ჩვენ წარსულის წლის აპრილშიაც და ამის მოწმეებადა მყავს დღევანდელის ოპოზიციის მეთაურნი და, არა თუ მარტო ჩვენ, სრულის დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გამგეობის გადაყენების მომხრე იყო მთლად ერთიანად ყველა, ვინც სხვა დროს მხარს აძლევდა ყოფილს გამგეობას.

ეს ყოველივე ასეა, მაგრამ ის „მანერა“, ის გზა, რომელიც აირჩია ქუთაისის „ინტელიგენციის“ პარტიამ (რასაკვირველია, ზოგიერთმა წარმომადგენელმა ამ პარტიისამ) ამ აზრის განსახორციელებლად უთუოდ დასაწუნარი იყო და იყო თავისი თავის გაწკეპლა.

ქუთაისის ბანკის აწ უკვე ყოფილი გამგეობა ეკუთვნოდა ეგრედ წოდებულ „ინტელიგენციის“ პარტიას, რომელიც ათის წლის განმავლობაში ებრძოდა სხვა და სხვა სახით მოვლენილ „კალისტრატიზმს“ ქუთაისის საზოგადო საქმეებში. ამ პარტიამ შეიგნო, რომ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობა ვერ ასრულებდა ბოლოს დროს თავისს როლს და კიდევაც საჭიროდ დაინახა მისი გადაყენება. მაგრამ ნუთუ ამ საქმისათვის საჭირო იყო დამარცხებულის „კალისტრატიზმის“ მკვდრეთით აღდგენა, იმისთვის ხელის გაწოდება: „არიქა გვიშველეთო“. როდესაც პარტია თავისს დანაშაულს შეიგნებს და დამნაშავე წევრებს განსჯის, თონ უნდა გამოიჩინოს იმდენი სიცოცხლის რომ თავისსავე ძალით და საშუალებით გაისწოროს საქმე, ხოლო თუ ის თავის შეგნით ვერ პოვებს განმაცხოველებელ ძალას და ხელს უწვდის იმ პარტიას, რომელიც დღესაც ურიგო პარტიად მიაჩნია—თავის-თავის კოტრობას აცხადებს.

ასეთი თავისი კოტრობა გამოაცხადა ამ კრებაზე ქუთაისის „ინტელიგენციის“ პარტიამ. თავისის დანაშაულის გასასწორებლად, მიმართა მეთაურს „კალისტრატიზმისას“ და თავდაპირველად მისცა მთელის კრების მეთაურობა ხელში: აირჩია „ერთხმად“ *) თავმჯდომარედ ნაფიცი ვექილი დ. კვირკველია, კაცი, რომელიც „ყოველგვარ“ საშუალებასა ხმარობდა ქუთაისის „ინტელიგენციის“ პარტიის დასამარცხებლად და არ ერიდებოდა ადმინისტრაციასთან კურკურს, რომ ამ პარტიის მეთაურებისთვის რამე ევნო (თ. ხვ. წერეთლის საქმე, თ. ნიკო თავდგირიძის საქმე ყველასთვის დაუვიწყარი უნდა იყოს). შემდეგ იმავე ნაფიცი ვექილი კვირკველია აირჩია „ერთხმად“ საბჭოს წევრად და სასაცილო ის არის, რომ ამ „ერთხმა“-ში ნაფიცი ვექილი ს. ჯაფარიძეც ერია, ეს „შეურიგებელი“ მტერი ბ-ნ კვირკველიასი, რომელთა ურთიერთ შორის საზოგადო ნიადაგზე დაბადებული შუღლი საჯაროდ გამოტანილიც კი იყო.**) ამოირჩია კრებამ ერთ-ერთ დირექტორად ის თ. ნ. ერისთავი, რომლის „დიდებული“ მოღვაწეობა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში საკმაოდ დაფასებული იქმნა სამინისტროს რევიზიისაგანაც და საზოგადოებისგანაც. (ორის წლის წინად საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრებამ იგი გაასამართლა იმისთვის, რომ „კალისტრატეს“ გამგეობის წევრი იყო, რომელმაც საადგილ-მამულო ბანკს რამდენიმე ასი ათასი მანეთის ზარალი მისცა. და ამ გამგეობაში მაშინ ბ-ნი ს. ჯაფარიძე ისეთსავე მონაწილეობას ღებულობდა, როგორც დღეს მის არჩევაში).

ამ კრებას საქმის ხასიათი კი არა ჰქონდა, ჰქონდა ხასიათი გამწვავებულის ბრბოის ბრძოლისა, რომლიდანაც „კალისტრატიზმი“ გამარჯვებული გამოვიდა. „კალისტრატიზმის“ ფერი ედვა კრებას მითაც, რომ გამხეცებულის, ფანატიკურის ბრძოლის სახე ჰქონდა: „ჯვარს ეცვი“, „ჯვარს ეცვი“ გაიძახოდა იგი შეუწყნარებლად, შეუგნებლად, დაუკვირვებლად.

— გვათქმევინეთ სიტყვა,—თხოულობდნენ ძველის გამგეობის წევრებიც—დამნაშავეს ციმბიროდ განწესებულს აძლევენ უკანასკნელ სიტყვას თავის გასამართლებლად, ნუ თუ ჩვენ აღარც ამის ღირსნი ვართო.

„ჯვარს ეცვი, ჯვარს ეცვი“,—გაიძახოდა ბრბო და ამ ბრბოს „განათლებული“ ხელმძღვანელად ჰყავდა სარდლად, ხოლო შტაბის უფროსად ბ-ნი დ. ჩიკვაიძე და „ნაფიცი ვექილი“ კვირკველია.

„აღარე თუ ხარ მეუფე ურიათა“, „მხნებურად წილადობილას-კი ნუ მოჰყვები!“—უბნება „ნაფიცი ვექილი“ კვირკველია თავ. კირილე ლორთქიფანიძეს,—„სთქვ, გინდა იყრო გენში თუ არა“.

„დიახ, თ. კირილე ლორთქიფანიძის განსჯა დ. ჩიკვაიძემ და „ნაფიცმა ვექილმა“ კვირკველიამ იდვეს თავზე.

დიახ, შესაძლოა ქრისტეც შესცდა, როგორც კაცი, იმით მაინც, რომ იუდა მოციქულად აირჩია, მაგრამ კაიაფასა და პილატესაგან მისი განსჯა შეუწყნარებელია ზნეობისა და გონებისათვის.

ეს ყოველივე „კალისტრატისტებისაგან“ ასეთ სხებით მოსალოდნელი იყო, მაგრამ მოულოდდი... ...ეჭ... შევსცდი: მოულოდნელი „ინტელიგენტთა“ პარტიისაგან იყო, რომ სთ კაცმა.

რითი იჩინა თავი ამ პარტიამ, რაკი სა გადო საქმის სარბიელი ძლივს ძლივობით დისტრატიზმს“ წაართვა. სააადგილ-მამულო ნკში ძველი წესები დასტოვა და გამგეო ორ წევრიდან, ძლივს ერთი კაცი გაიყვანა ისიც „კალისტრატეს“ პარტიის წყალობ შარშანაც კიდევ „კალისტრატეს“ გამგეობის რად ნამყოფი ისევ „ერთხმად“ აირჩია და საურთიერთო ნდობის ბანკშიაც ერთხმად ჩია, ის კაცი (თ. ნ. ერისთავი), რომელ ედება კისრად უმეტეს ნაწილად ყოველივე ცდომა, რაც „კალისტრატეს“ გამგეობამ დინა, რადგან, როგორც ამბობენ, იგი ყველაზე უფრო „ჯიუტი“ და „ჯინიანი“ გრი გამგეობისა.ამგვარის „პრაქტიკულის“ პო ლიტიკის გამეფება პარტიაში ბ. ს. ჯაფარიძ ინიციატივას ეკუთვნის. ხოლო დანაშაული რტიის სხვა წევრების ინდიფერენტიზმია ის სუსტი წინააღმდეგობა, რომელსაც უცხადებდა ამგვარ პოლიტიკას.

ამ კრებაზე-კი ზოგიერთმა წევრმა ქუთაი „ინტელიგენციის“ პარტიისამ საუკუნოდ დინა სახელი პარტიას, როგორც საზოგა პარტიას. მართალია; დიდ უმრავლესობას პარტიისას მონაწილეობა არ მიუღია ამ კრებაში მაგრამ არც ეგრეთი გულგრილობაა საქებო

---

*) ჩვენებური „ერთხმად“ მოგეხსენებათ: ყვირის უმეტესობა, უმცირესობა კი თავზარდაცემული სდუმს და ერთ კრინტსაც არა სძრავს იმის შესახებ, რომ ოქმში სწერენ ესა და ეს პირი „ერთხმად“ აირჩიესო. ასე ესმით საქმე და პრინციპი ჩვენში.

**) გაიხსენეთ მათი პოლემიკა „ნოვ. ობოზრ.“ სადაც ბ-ნ ს. ჯაფარიძე სწამებდა ბ-ნ კვირკველიას ურიგო მოქმედებების ჩადენას წინააღმდეგ ვექილთა ეტიკისა.

*) არის ერთი გასამართლებელი მაში, ბრბოდ ქცეული კრება იმდენად გაფთრებული იყო, რომ მოქმედება სერიოზული შეუძლებელი იყო. ვი კი გაბედავდა წინააღმდეგობას,„ჯვარს ეცვი“ გა მოდა. ბ. ვ. ქილაძეს, რომელიც ოპოზიციის მე ურებთაგანს ეკუთვნოდა, და თვით ს. ს. ჯა რიძესაც,რომელთაც განაცხადეს, დავაცადოთ ძველ გამგეობის წევრებს სიტყვა თქვანო, ისეთისავე რილით და მუქარით დაუხვდნენ, როგორც გამგეობის წევრებს. მეტად დიდი მოყვარული იყო კაცი „პრაქტიკულის გამარჯვების“ შემთხვევაში თავი არ დაანებოს მოქ სა.

Доз. цен. Тифлисъ,

მარემბით მოხდა კავკასიის **სამკურნალო საზოგადოების კრება**. თავმჯდომარემ აცნობა კრებას გარდაცვალება ორის წევრის—ანანოვის და ტარსაიძესი. ანანოვი 37 წლიწადი საზოგადოების წევრად ითვლებოდა და ბევრი საქმე გააკეთა საზოგადოებისთვის. დიდი ღვაწლი მიუძღვისო, განაგრძო თავმჯდომარემ, ექიმ ტარსაიძესაც. როგორც ოკულისტი, იგი ცნობილი იყო მთელს კავკასიაში; 22 წლის განმავლობაში განსვენებული მონაწილეობას იღებდა სამკურნალო საზოგადოების საქმეებშიო. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთა ხსოვნას. შემდეგ ექიმმა ი. ე. გამბურგერმა წაიკითხა მოკლე მოხსენება.

◆ ჟურნალ **„მოგზაურის“ რედაქტორს** ი. პ. როსტომაშვილს ნება მიეცა თავისი ჟურნალი ყოველ-კვირეულ გაზეთად გადააკეთოს.

◆ 13 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე სამუილ იხილჩიკოვისა და 17 სხვა კაცისა, რომელთაც **რკინის გზის ყალბ ბილეთების** დამზადება ჰბრალდებათ. ამ საქმის გამო დაბარებულია 139 მოწმე და 10 ექსპერტი. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები ლ. ს. სტალინსკი, მ. ო. გრუზენბერგი, ტურკევიჩი, კლანქი და სხვანი.

◆ 2 იანვარს ტფილისში **უეცრად გარდაიცვალა** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატერიალურ ნაწილის უფროსის თანაშემწე ვ. გრაბოვსკი.

◆ „რუსკოე სლოვო“-ში მოთავსებულია პირველი სია **იმ მეომარ აფიცრებისა**, რომელნიც პორტ-არტურში ცოცხლები გადარჩნენ. ამ სიაში მოქცეულნი არიან მხოლოდ მეზღვაური აფიცრები. ქართველი ერთია—პრაპორშჩიკი ლოლიძე.

◆ მოგვივიდა **ახალი წიგნები**: 1. **„Государственный языкъ въ грузинскихъ начальныхъ школахъ“**, იაკობ გოგებაშვილისა. ეს წერილი პასუხია ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების მეთვალყურის ოდოევის რეცენზიისა. ფასი 30 კაპ. 2. „უსახლკარო“, საყმაწვილო მოთხრობა მალოსი, თარგმნილი ეოფილე ხუსკივაძის მიერ. წიგნი დიდია ა ღირს ათ შაურად.

◆ სოჩის ოლქის ოთხ-ხუთ სოფლის ვენახებს რაღაც სენი გასჩენია. ამ სენის გამოსაკვლევად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა გაჰგზავნა აგრონომი საკოვი, რომელიც უკვე დაბრუნდა და თავისი მოხსენება **საფილოქსერო კომიტეტს** წარუდგინა. როგორც ამ მოხსენებიდანა სჩანს, აღნიშნულ სოფლებში ფილოქსერა არა ყოფილა. მიზეზი ვენახის გაფუჭებისა ყოფილა ვაზის სიდამპლე, მილდიუ და ოიდიუმი. ბესარაბიის გუბერნიის იმ ადგილებიდან, სადაც ძალიან რის ფილოქსერა გავრცელებული, ბევრნი არიან გადმოსახლებულნი სოჩის ოლქის ადლერის საბოქაულოში. გადმოსახლებული გლეხები კავშირს არა სწყვეტენ თურმე ძველ ადგილის მცხოვრებლებთან, იწერენ სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზებს, ხეხილეულობას, ნერგს. რადგან შესაძლებელია ამრიგად სოჩის ოლქშიაც გავრცელებულ იქნას ფილოქსერა, ბ-ნ საკოვის აზრით, საჭიროა თვალყურის დევნება. კომიტეტმა დაადგინა აღკრძალოს ბესარაბიიდან ნერგების გადმოტანა.

◆ ტფილისის გუბერნატორი ამ დღეებში უნდა **გამგზავრებულიყო კახეთს**. როგორც გავიგეთ, გუბერნატორი აღარ აპირებს წასვლას.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა სთხოვა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, გაუგზავნოს ცნობები **ამერიკულ ვაზის** სანერგეების შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის მდივნად ქალაქის მოურავის განკარგულებით დაინიშნა გამგეობის მეორე განყოფილების საქმის მწარმოებლად ნამყოფი ფ. ა. ბეკი.

◆ 1 იანვარს ღამე პოლიციის მე-5 ნაწილში მცხოვრების კურკჩიანცისთვის ვიღაც ქურდს მოუპარავს 50 მან. ნივთები. ეს ამბავი უცნობებიათ პოლიციისათვის, რომელსაც ერთი მოხელისათვის მიუნდვია ქურდის აღმოჩენა. მეორე ღამეს კიდევ შეპარულა ქურდი კურკჩიანცის სახლში და მოუხვეტია ნივთები წასაღებად, მაგრამ მეთვალყურე პოლიციელი თავს წასტეხია და ქურდი დაუჭერია. ქურდი აღმოჩნდა გორის მაზრის მცხოვრები ივანე თედელური. თედელურს გამოუცხადებია, წინა ღამესაც მე ჩავიდინე ეს ქურდობა და ჩემთან იყო ტფილისის მოქალაქე გეურქ ნუკიასოვიო. პოლიციას გამოურკვევია, რომ თედელურს სხვა ბევრი ამგვარი ქურდობა ჩაუდენია: მაგალითად, მე-5 ნაწილში მცხოვრებ კარტაშევისათვის პალტო მოუპარავს და ავლაბარში სერგო მირზოევისათვის მიუყიდნია; მე-3 ნაწილში დავით კუპრაშვილის სახლი გაუქურდავს, მე-9 ნაწილში ხალიჩა მოუპარავს, 50 მან. ღირებული, ზაფხულში შუბა და სხვა ნივთები მოუპარავს ენგამიანცისათვის და სხვა. თედელური პასუხის გებაში მისცეს.

◆ ნავთლუხში [illegible] ვრიბილსკის ქუჩის მცხოვრებლებმა საერთო თხოვნა გადასცეს გუშინ ქალაქის გამგეობას და სთხოვეს, ნავთლუხისაკენ ელექტრონის ტრამვაი აღნიშნულ ქუჩაზედ გაატარონ.

◆ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა ტერსიმონიანცმა გუშინ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნაძალადევში მცხოვრებთ ტატიანა ტერეშჩენკომ, სიმონ და მიხეილ ბრუიძეებმა, გრიგოლ გოგსაძემ და თედორე პროხოროვმა ქალაქის მიწები მიითვისეს და განკარგულება მოახდინეთ ჩამოსართმევადაო.

◆ პუშკინის ქუჩაზე ცოტას გახდა უბედურება დატრიალდა: ცხენის რკინის გზის ვაგონი № 43 ტორმუზით ველარ შეაჩერეს და დაეშვა შუაბაზრისაკენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ვაგონიდან გადმოვარდა მარიამ ხეიძისა და დაშავდა. კიდევ კარგი, ვაგონს ქუჩაში ბევრმა გადაასწრო, თორემ უბედურება მოხდებოდა.

ქალაქის საქმეები

3 იანვარი

საბჭომ ამ სალამოს განაგრძო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ცხარე კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ ზოგიერთ მოხელეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. ხმოსნებმა მოითხოვეს, როცა გამგეობა რომელისამე მოხელისათვის ჯამაგირის მომატებას თხოულობს, უსათუოდ უნდა დაასაბუთოს შუამდგომლობა, რა ღვაწლი მიუძღვის მოხელეს ქალაქისადმიო. საბჭომ უარჰყო ჯამაგირების მომატება.

ხმ. ბაბოვმა განაცხადა: ქალაქი ყოველ წლობით 1500 მან. ხარჯავს ქალაქის სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის სადღესასწაულო გასართობის მოსაწყობად. წელს ყველა სკოლის მოსწავლენი დაესწრნენ, გარდა ვერის პირველ სკოლის მოსწავლეთა. ამ სკოლის გამგედ არის ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრის შესტაკოვის მეუღლე. ხმოსნებმა მოითხოვეს ცნობები, რა მიზეზი იყო ამ სკოლის ბავშვების დაუსწრებლობისა. ხმ. არღუთინსკიმ განაცხადა, ჩვენ ფულს ვხარჯავთ, ბავშვებს გასართობს ვუმართავთ, მასწავლებელი-კი ნებას არ აძლევს მოსწავლეთ დაესწრონო. მოურავმა აღუთქვა კრებას, მაგ საქმის შესახებ ცნობებს შევკრებ და შემდეგ გაცნობებთო.

პოლიციის შესანახად ქალაქი იხდის 100,000 მან, ხმ. ხუდადოვმა ითხოვა ეცნობებინა გამგეობას, რა მდგომარეობაშია საბჭოს მიერ ამ ორი წლის წინად აღძრული შუამდგომლობა ქალაქის პოლიციის შესანახ ხარჯის განთავისუფლების შესახებაო. საბჭომ დაავალა მოურავს შეეცადოს, რომ მთავრობამ შეისმინოს ქალაქის შუამდგომელობანი. ქალაქის ზოგიერთმა ხმოსნებმა განაცხადეს პოლიციისათვის ფულს ვაძლევთ და არ-კი ვიცით როგორ იხარჯება ეს ფულიო. გამგეობამ უნდა გამოარკვიოს, რამდენად აქვს ქალაქს უფლება ხარჯს ანგარიში გაუწიოსო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება. საბჭოს ამ სალამოს მოასწრო მხოლოდ 4 პარაგრაფის განხილვა.

პრესსა

როგორც ვიცით, 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში ნაჩვენებია, სხვათა შორის, განზრახვა მთავრობისა—გადისინჯოს ის დებულებანი, რომელნიც ჰკვეცავენ იმპერიის სხვა-და-სხვა კუთხეში მცხოვრებ არა-რუსთა უფლებებს.

მართალია, იმავ ბრძანებაში ნათქვამია, რომ ამ დებულებათაგან უცვლელად დარჩებიან ისინი, რომელნიც გამოწვეულნი არიან სახელმწიფოს „არსებით მოთხოვნილებისა და რუსის ხალხის ცხად სარგებლობისაგან“-ო, და ეს მუხლი ბრძანებისა არსებით ცვლილების იმედს არ იძლევა ამ სფეროში, მაგრამ საკითხი მაინც დიდად საყურადღებოა და პრესსაც შედარებით სერიოზულად ეკიდება ამ საქმეს.

სხვათა შორის, „ნოვოსტი“-ს 358 ნომერში მოთავსებულია ვრცელი წერილი ამ საკითხის შესახებ. დასაწყისი წერილისა მკითხველს ყოველ ნდობას უკარგავს ავტორისადმი, რადგან იგი დარწმუნებით ამბობს, რომ უფლება-შეკვეცილი არა-რუსი რუსეთის იმპერიაში მარტო ებრაელი და პოლონელი არისო. მაგრამ ვაპატიოთ ასეთი უვიცობა გაზეთს და მის თანამშრომელს, რადგან ამ უვიცობაში ბრალი თვით არა-რუსებსაც უდევთ, და გავეცნოთ იქ მოყვანილ ფაქტებს: მეტად საგულისხმიერონია ჩვენთვისაც და დამახასიათებელი არსებულ წესწყობილებისა და „ეროვნულ“ პოლიტიკისა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ნოვოსტი“ ებრაელების მდგომარეობიდან იწყებს: ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ შევიწროვებას, რომელსაც ებრაელები ითმენენ და მხოლოდ უმთავრესს ჩამოვთვლითო, ამბობს გაზეთი.

> გარდა პირველ გილდის ვაჭრებისა, დიპლომიან მეცნიერებისა და ხელოსნებისა, ებრაელებს უფლება არა აქვთ იცხოვრონ ყველგან იმ სახელმწიფოში, რომლის ქვეშევრდომებიც არიან.

მათთვის მხოლოდ რამდენიმე განსაზღვრული ადგილია დანიშნული, ისიც მხოლოდ ქალაქებში და ამას ვერ გასცილდებიან და

> ებრაელი ჯარის-კაცები მანჯურიის სამივე ჯარისა იბრძვიან იმ ადგილების შეძენისათვის, სადაც მათ უფლება არ აქვთ იცხოვრონ.

რაც არ უნდა თავი გამოიჩინოს ებრაელმა ჯარის-კაცმა, ვერ დაწინაურდება—უნტერ- [illegible] ბლებში განსაზღვრულ, მეტად მცირე პროცენტს იღებენ; მიწას ვერ შეიძენს საკუთრებად; ერობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს; საბჭოში პროცენტია დანიშნული ებრაელ ხმოსნებისათვის, თუნდა ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას ებრაელები შეადგენდნენ.

ეხლა ყური ვუგდოთ პოლონელების მდგომარეობის ამბავს და გზა-და-გზა ჩვენსას შევუფარდოთ, თუ დრო დაგვიდგა.

> კანონი სახელწოდება „პოლონელს“ არ სცნობს; იგი იცნობს მხოლოდ „პოლონურ ჩამომავლობის პირებს“.

კანონი როგორ გვნათლავს, ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ ერისთვის სულ ერთია როგორც არ უნდა მონათლონ, ოღონდ მოეპყრან როგორც ერს. ამ მხრივ-კი, როგორც ქვემოდ დავინახავთ, განსხვავება ძალიან ცოტაა ჩვენსა და პოლონელებს შორის.

> პოლონელებისათვისაც დაწესებულია პროცენტი ზოგიერთ სასწავლებლებში და სამხედრო აკადემიაში-კი სრულიადაც არ იღებენ. სამოქალაქო სამსახურში, თუმცა არ არის ასეთი კანონი, წესად შემოვიდა, რომ პოლონელებს მისცენ ადგილი აღმოსავლეთ გუბერნიებს, ციმბირსა და კავკასიაში.

შეიხედეთ ჩვენში არსებულ სამინისტრო სასწავლებლებში—თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუმცა კანონით პროცენტი არ არის დაწესებული ქართველებისათვის, მაგრამ პოლონელების რაოდენობა შესაფერ სასწავლებლებში მეტი იქნება; და ეს აიხსნება არა მარტო იმითი, რომ პოლონელები ჩვენზე მაღლა დგანან კულტურით. გაიხსენეთ დიმიტრი ყიფიანისა და ქუთაისის გიმნაზიის შეტაკება და ბოლოს ხონის სამასწავლებლო სემინარიის ამბავი. ყიფიანის დროს არსებული წესი თუ გაძლიერდა, თორემ არ შესუსტებულა.

რაც შეეხება სამოქალაქო სამსახურს, ჰკითხეთ ყოველ უწყებას ჩვენში, რამდენია ქართველი მოხელე—ზოგან ჰაჭანებაც არ არის მათი. სამაგიეროთ, სომხეთში, კასპიის იქითა მხარეში, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენებური მოხელენი, ისიც წვრილნი, კარგა ბლომათ არიან.

> დასავლეთ მხრის ცხრა გუბერნიაში „პოლონურ ჩამომავლობის პირებს“ აკრძალული აქვთ მიწის საკუთრებად შეძენა... მემკვიდრეობის უფლებაც მიწაზე შეზღუდულია—თუ პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავს პოლონელს, სხვა ნათესავი ვერ გახდება მის მემკვიდრედ...

მემკვიდრეობის უფლება ჩვენში შეკვეცილი არ არის; არც შეძენის უფლებაა დარღვეული ფორმალურად, მაგრამ ჩვენს მკითხველებს კარგად ეხსომებათ ფინანსთა სამინისტროს მიწერილობა ეკატერინოდარის სახელმწიფო საგლეხო ბანკისადმი. საგლეხო ბანკის ოპერაციები არ ვრცელდება ჩვენში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მინისტრი სწერს ბანკს: სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისისა და ქუთაისის განყოფილებებს რაც მამულები დარჩება, ეკატერინოდარის საგლეხო ბანკის დახმარებით რუსის გლეხებმა უნდა შეიძინონო: ჩვენებური გლეხი ვერ შეიძენს.

> [illegible] სრულიად განდევნილია... პოლონელი [illegible] სამღვთო სჯულს რუსულად სწავლობენ... [illegible] მთავრობა ყოველგვარად აბრკოლებს პოლონური ენის სწავლებას საშუალო სკოლებში, თუმცა უმაღლესის ბრძანებით ეს სწავლება შემოღებულია. საზღვარი სახელმწიფო ვალდებულებისა უფრო და უფრო ვრცელდება—ადმინისტრატიულ დაწესებულებათა სფერიდან საზოგადოებრივ დაწესებულებათა და დაწყებულებათა სფეროში [illegible]. საქმის წარმოება საქალაქო მაგისტრატში და საადგილ-მამულო საურთიერთო კრედიტში რუსულად არის. ეხლა ამასვე სთხოვენ ვარშავის საქველმოქმედო საზოგადოებას და სააქციო საზოგადოებათ... სახალხო სკოლებში სწავლება პოლონეთში რუსულ ენაზე სწარმოებს.
>
> პოლონეთი მოკლებულია საერობო დაწესებულებათ... მარტო მიცკევიჩის ძეგლი დარჩა მდგომარეობის გაუმჯობესების იმ განზრახვიდან, რომელიც ამას წინად დაიწყო.

პოლონელებზე რომ არ იყოს ლაპარაკი, ჩვენი ცხოვრების სურათი ეგონებოდა მკითხველს იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ უმაღლესი ბრძანება არ ყოფილა ქართულის სწავლების შესახებ საშუალო სასწავლებლებში და არც არავის განუზრახავს ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესება.

სასამართლო

მილაშევსკის საქმე სენატში

სარატოვის ქალაქის გამგეობის წევრს ალ. მილაშევსკის სარატოვის სამოსამართლო პალატამ ბრალი დასდო: პირველი—1902 წ. ალ. მილაშევსკი ეგრედ წოდებულ „სოციალ-რევოლიუციონერების“ პარტიას ეკუთნოდაო, რომელსაც აზრად სახელმწიფო და არსებულ წეს-წყობილების შეცვლა და დამხობა აქვს და რომელმაც ამ აზრის განსახორციელებლად ძალადობასაც-კი მიჰმართაო; მეორე, რომ 1902 წელსვე ქ. სარატოვში მილაშევსკი სთხზავდა [illegible] და ნახატებს, რომელნიც მცხოვრებთ აღელვებდა. ამ აზრის განსახორციელებლად ალ. მილაშევსკიმ გაიჩინა ასეთი ბინა, საიდანაც თავისუფლად შეეძლო ბროშიურებისა და ნახატების გავრცელება და გამრავლება, შეიძინა მიმეოგრაფი და სხვა.

სასამართლო პალატამ ყველა ამ ბროშიურების, პროკლამაციების და ნახატების განხილვის შემდეგ ის აზრი გამოიყვანა, რომ 1902 წ. არსებობდა „სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია“, რომელსაც რუსეთში არსებულ წეს-წყობილების დარღვევა ჰქონია აზრად და 1902 წ. 5 მაისის სარატოვში მომხდარ პოლიტიკურ დემონსტრაციასთან და შინაგან საქმეთა მინისტრის სიპიაგინის მკვლელობასთან კავშირი ჰქონია და, მაშასადამე, ტერორიულ ზომებსა და ძალადობასაც არ იწუნებდა თავის განზრახვის მისაღწევადაო.

ბრალდებულ მილაშევსკიმ განაცხადა—მინისტრის სიპიაგინის მოკვლის შემდეგ რუსეთის სარევოლიუციო მოძღვრებისა და მოქმედების გაცნობა მომინდა და ამ აზრით ყველა ამგვარ გამოცემათა გამოწერა დავიწყე. რადგან კითხვა აკრძალულია ჩვენში, მე ისეთი საწყობიც გავმართე, რომელიც უფრო ნაკლებად იქნებოდა საშიშიო.

პალატამ მილაშევსკის მართლებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და, როგორც ზეითაც იყო ნათქვამი, მილაშევსკი რევოლიუციონურ პარტიის წევრად აღიარა და გადასწყვიტა, მე-250 მუხლის ძალით ყოველ უფლება - უპირატესობის ჩამორთმევის შემდეგ მილაშევსკი კატორღაში [illegible] წლით გაიგზავნოსო. რაც შეეხება იმას, რომ მილაშევსკის ამ ბროშიურათა შეთხზვა და ბეჭდვა ჰბრალდება, ამის დამამტკიცებელი საბუთები ვერა ჰნახა პალატამ საქმეში და ამიტომ ბრალდებულ მილაშევსკი ამ საქმეში გაამართლა. მხოლოდ ამ გამოცემათა შენახვისთვის-კი საპყრობილეში ორის თვით დატუსაღება გადაუწყვიტა.

მილაშევსკიმ საკასსაციო საჩივარი შეიტანა, რომელიც სენატის მიერ შეწყნარებულ იქნა. ეს საქმე სენატმა ღვინობისთვის 26 განიხილა. მოხსენების შემდეგ სიტყვა ბრალდებულის დამცველს მისცეს, რომელმაც დაახლოვებით შემდეგი სთქვა.

მილაშევსკის გამამტყუნებლად სამოსამართლო პალატას მხოლოდ ერთი, კატეგორიულად დამტკიცებული და უცილობელი ფაქტი აქვს. ეს ფაქტი არის შემდეგი: ლეგალური პირის, მილაშევსკის სახლში იპოვნეს რევოლიუციონურ გამოცემათა საწყობი. ეს საწყობი თავისუფლად შეიძლება წიგნთ-საცავად აღიაროს კაცმა, მხოლოდ მთლად რევოლიუციონურ გამოცემათა წიგნთსაცავად კი. ამ ბროშიურათა შორის „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ გამოცემანიც იყო. მაგრამ იმას გვერდით „ისკრას“ ნომრებიც მოიძებნებოდა. „ისკრა“-ს №№, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ მოძღვრებას. იყო აგრეთვე ბევრი ისეთი წიგნიც, რომელიც თუმცა აღკრძალულია რუსეთის იმპერიაში, მაგრამ არც ერთ ზემოდ ნახსენებ პარტიას კი არ ეკუთვნის. პალატამ ამ ფაქტს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ბრალდებულმა განაცხადა: რევოლიუციონურ პარტიას მე არ ვეკუთნოდი და ჩემი თანაგრძნობა მათდამი მხოლოდ იმათ ნაწერების შენახვით გამოიხატაო. პალატა კი სულ სხვა რამესა ჰხედავს ამ საქმეში. რადგან ყოველი გამოცემა ცალ-ცალად კი არა ჰქონდა მილაშევსკის, არამედ დასტობით ეწყო, ჰკუასთან ახლოა კაცმა სთქვას—მილაშევსკი კი არ ინახავდა მარტო ამ ნაწერებს, ავრცელებდა კიდეცაო. ვიმეორებ, ამის ფიქრი შეიძლება, მხოლოდ დამტკიცება კი არა, რადგან ამის დამამტკიცებელი საბუთი მთელ საქმეში ერთიც არ მოიძებნება. არამც თუ გავრცელება არ არის ამ საქმეში დამტკიცებული, რევოლიუციონურ გამოცემათა შენახვა როდის დაიწყო ბრალდებულმა, ესეც კი არ არის გადაწყვეტილი, ერთის სიტყვით ამ საქმეში ფაქტიური მხარე სრულიად არ არსებობს, ყველაფერი ლითონ სიტყვებსა, მიხვედრასა და „მგონიზეა“ დამყარებული. ბრალდების დასაწყისში ფრთხილად ნათქვამია ჟანდარმებმა „ზოგიერთა წყაროებიდან“ იცოდნენ კიდეც მილაშევსკის ამბებიო. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში გამოცემათა შენახვის გარდა სხვა ფაქტს, სანთლითაც რომ ეძებო, ვერაფერს ვერ იპოვნი, სამოსამართლო პალატა დაუსაბუთებლად თავის „მგონიათი“ ძალიან შორს მიდის. მიუხედავად იმისა, რომ მილაშევსკის „წიგნთსაცავში“ მრავალგვარი გამოცემა იყო და, სხვათა შორის, იმისთანაც, რომელსაც მე-251 მუხლთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგან ერთ სიტყვასაც არ ამბობენ „ბუნტსა“ და არეულობაზედ. პალატამ მაინც „სოციალისტ-რევოლიუციონერების“ პარტიაში ჩარიცხა მილაშევსკი. ამას არ დაკმაყოფილდა და გასამართლებელი გზებიც მოუჭრა. მილაშევსკის დაუსრულებელი თხოვნა, ჩემ მოწმეებსაც დაეკითხეთ, იქნება იმათაც საგულისხმიერო გითხრან რამეო, დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. მე-250 მუხლს, რომლის ძალითაც სდებენ მილაშევსკის ბრალს და კანონების დროს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულთა ალაგმვა ჰქონდა, აზრად—აქ-კი არსებობს მთელი მიმართულება და საკმაოდ გავრცელებული ორგანიზაცია. ვსთქვათ, მილაშევსკი გამოჰგლიჯეს ამ პარტიას, ხვალ მეორე და ზეგ მესამე. მაგრამ თითონ პარტია კი განაგრძობს თავის არსებობას, რადგან ეს პარტია არც როდის ჰფიქრობს აქტიურ მოქმედებას. რევოლიუციონური პარტია არის თესლი, რომელმაც უნდა იხაროს. მხოლოდ მომავალში-კი, შემდეგში, იქნება ამ პარტიამ ბევრი სისხლის მღვრელი და არეულობის მომხდენი აჩუქოს ქვეყანას. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. დღეს-კი ისინი მხოლოდ „უთანხმოებას“ თესენ ხალხში. სიტყვა „უთანხმოება“ მე არ მეკუთვნის, მას კანონი ხმარობს დღეს ეს პარტია მხოლოდ ხალხის გონებაზე მოქმედობს, აჩვენებს არსებულ წესწყობილების უვარგისობას და ნაკლულევანებას. ყველა ამას იმ იმედით სჩადის რომ შემდეგში თავის მიზანს მიაღწიოს და ძვირფას ხალხის ცხოვრება კეთილად მოაწყოს.

ჩვენ გვეუბნებიან, მილაშევსკი პარტიის წევრიაო, მე კიდევ გავიმეორებ ჩემ კითხვას. ვსთქვათ ეგრეა, მერე რას აკეთებდა მილაშევსკი იმ პარტიაში? ყველაფერს, რაც-კი შეიძლება პარტიას მიეწეროს, სამოსამართლო-პალატა მილაშევსკის აწერს. პალატა ეუბნება მილაშევსკის: „შენ რომ იმ პარტიის წევრი ხარ, მაგას ლაპარაკი აღარ უნდა და აბა ვნახოთ ეხლა თითონ პარტია რას აკეთებსო“. გერშუნის საქმე რომ ირჩეოდა, ბრალდებულნი ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი. ერთ ჯგუფში „სოციალისტ-რევოლიუციონერები“ ჩარიცხეს და მეორე ჯგუფში კი ძალმომრეობის მომხრენი. ამ მეორე პარტიის წევრებს სწამთ, რომ ხალხის მომზადება ამ პირობებში შეუძლებელია. და იარაღს მიმართავენ ხოლმე, მაგრამ არავის და თითონ რევოლიუციონერებსაც არა სწამთ და არა სჯერათ, რომ რომელისამე მინისტრის სიკვდილს შეიძლება წეს-წყობილების ცვლილება მოჰყვესო: მოჰკლეს ერთი მინისტრი,—ხვალ ხელმწიფე იმპერატორი მეორეს დანიშნავს! „სოციალისტ-რევოლიუციონერები“ მარტო მომავალს შესცქერიან და სცდილობენ მომავალზე იქონიონ როგორმე გავლენა. ბ-ნო სენატორებო, რამდენი ხანია პოლიტიკური საქმე სასამართლოს აღარ ჩავარდნია ხელში, ეს პირველი საქმეა, რომ თქვენ გადმოგცეს. ადმინისტრატიული ბრძანება და შეხედულება ყველასათვის ცხად და გასაგებ გამოძიებით და სამსჯავროს გადაწყვეტილებით უნდა შეიცვალოს. და აქ-კი ყველაფერი, თავიდან ბოლომდის მიყოლებული, რაღაც „კერძო“ ცნობებზედ არის დამყარებული. არ დავიჯერებ, თუ ამგვარ დადგენილებას კა-

სიმართლე მოითხოვს ისიცა ვსთქვათ, რომ ეხლანდელ კრების გამწვავებულ ხასიათში ძველ გამგეობასაც უდევს წილი. აპრილის თვეში, როდესაც თ. თუმანიშვილს სამსახურის ვადა გადიოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გადაყენება მთელ იმ პარტიას, რომელიც მას უწინ ხელს უწყობდა, თ. თუმანიშვილმაც „კალისტრატურ“ ძალმომრეობის ხერხს მიჰმართა. აპრილის კრებაზე უჟინით თავმჯდომარის არჩევა „ვექილობები“, „უჟინით“ საქმის გადაწყვეტა—ეს ნიშანდობლივი თვისებაა „კალისტრატიზმისა“, მაგრამ ამაშიაც დიდი დანაშაული „ინტელიგენტთა“ პარტიის სილაჩრეს მიუძღვის. ორჯერ სხდომა ჰქონდათ, გადასწყვიტეს შეუთვალონ თ. თუმანიშვილს, მხარს ვეღარ გაძლევთო და ისეთი გამბედავი კაცი ვერ იშოვეს, რომ თ. თუმანიშვილისათვის ეს გადაწყვეტილება ადამიანურად ეთქვა, ასეთი უბრალო ქცევა. რადგან შეუძლებელ დევ-გმირობათ მიაჩნიათ ჩვენ მოღვაწეებს და ბრბოის იმგვარის უწესო ინსტინქტების წაქეზება, როგორც საურთიერთო ნდობის ბანკის უკანასკნელ კრებაზე მოხდა,—ამის გაბედვა არავის არ შერცხვა.

ასეა თუ ისე „ინტელიგენტთა“ პარტიამ საქმით განაცხადა, რომ თუ რაიმე თავის წამხდარის საქმის გამოკეთება დასჭირდა კაცს, ვერ იშოვის, თუ „კალისტრატეს“ პარტიის შემწეობას არ მიჰმართა, ხოლო „კალისტრატიზმმა“ ისევ თავი წამოჰყო.

შესაძლოა კრების მეთაურ „ინტელიგენტთა“ პარტიის წევრებს თავი გამარჯვებულად მიაჩნდეს, მაგრამ ვერ შემიგნია ფსიხიკა თავ. სვ. დორთქიფანიძისა, რომელიც აპირებს ბანკის საქმეების გამოკეთებას თ. ნ. ერისთავთან, რომელიც მეორე ბანკში თ. სვ. დორთქიფანიძის თავმჯდომარეობის ქვეშ გაამაგეს ამ ორის წლის წინად, როგორც უვარგისი და უნიჭო მოღვაწე.

კიდევ მეტად ძნელია ჩემთვის იმის გამორკვევა, თუ რა მდგომარეობაში გრძნობს თავს ბ-ნი ს. ჯაფარიძე, რომელიც ბ-ნ კვირკველიასთან ხელიხელ გადახვეული აპირებს, „საქმეების“ წარმართების გზაზე დაყენებას? საინტერესოა გამოვირკვიოთ, რა გრძნობები ექნებოდა ბ-ნ ს. ჯაფარიძეს, როცა დ. ჩიკვაიძის სარდლობის ქვეშ მოქმედებდა და როდესაც ბ-ნ გ. ჩიკვაიძესთან ერთად თ. კ. დორთქიფანიძის „ბოროტმოქმედების“ განსჯას შეუდგება? ვაი თუ მალე დასჭირდეს ბ-ნ ს. ჯაფარიძეს იმის თქმა: „შევცდი რამეთუ მიგეც სისხლი მართალიო“. ნუ თუ ბ-ნ ს. ჯაფარიძეს დაავიწყდა ის მკაცრი სიტყვები, რომლითაც თ. ანდრია ერისთავს მიჰმართა, კაცს უღვთოდ ჰპატიოსანს და რიგიანს, რომელსაც მხოლოდ ერთი ტაქტიკური შეცდომა მოუვიდა, თუ გინდ დიდი შეცდომაც, თავის დიდის ხნის საზოგადო მოღვაწეობაში? არა მჯერა ბ-ნ ს. ჯაფარიძე ჰფიქრობდეს, „გამარჯვებულნი“ არ განისჯებიანო“. ეს კია, რომ ბ-ნ ს. ჯაფარიძის მეგობრებმა [illegible] იგრძნეს და სირცხვილი. ნუ თუ ბ-ნ ს. ჯაფარიძეს ჰგონია, რომ „კალისტრატეს“ პარტიის მეთაურობით მოღვაწეობა უფრო ნაკლები დანაშაულია, ვიდრე თ. კირილე დორთქიფანიძის უნებური შეცდომები?

არის მორალი „მეწვრილმანისა“ და არის მორალი „ადამიანისა“. თუ ბ-ნს ჯაფარიძეს „მეწვრილმანობა“ მოსწონს, შეუძლიანი თავი გამარჯვებულად ჩაითვალოს. ხოლო „ინტელიგენტთა“ პარტია ქუთაისისა, რომელსაც უკანასკნელი წიხლი ჰკრეს მისმა წევრებმა ან აწ სამახსოვრო კრებაზედ მოსპობილად უნდა ჩაითვალოს და ქუთაისში ახალი პარტია უნდა შესდგეს, რომლის მოღვაწეობასაც სრულიად ახალი სარჩული უნდა დაედვას და უფრო ფართო საგანი დაენიშნოს, ვიდრე ამა თუ იმ ბანკის გამგეობის ამორჩევაა.

მომავალს ყველა გულის ფანცქალით ველით. ეს მომავალი დიდებული რამ უნდა იქმნეს და ამ შემთხვევაში პარტიათა რეორგანიზაცია თავის თავადაც უნდა მოხდესო.

სასიამოვნოა მხოლოდ ის, რომ ვისაც თავის ახალგაზრდობის საუკეთესო ხანა ამ წვრილმან და უფერულ ბრძოლაში გაუტარებია, კიდევ მოესწრება, რომ შერჩენილი ძალა რამე უფრო დიდსა და სასახელოს მოახმაროს.

კიტა აბაშიძე.

ნონიერად ჩასთვლის ვინმე და მეც უმორჩილესად გთხოვთ მის გაუქმებას.

სენატმა ორ საათ-ნახევრის თათბირის შემდეგ დაადგინა: სარატოვის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქმნას. ამ რიგად მილაშევსკის საქმე უთუოდ ხელმეორედ გადაეცემა პალატას განსახილველად. („იურისტი“).

რუსეთის ქრონიკა

✦ ტვერის თავად-აზნაურთა საგუბერნიო სხდომაზე ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, დევნილმა, უფლება-ახდილმა და ამ ბოლო დროს დაბრუნებულმა ვ. როდიჩევმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა ბიუროკრატიის, მოხელეების წინააღმდეგ, რომელნიც მელნის მორევში ჰღუპავენ ადამიანის სულს, ცოცხალ ადამიანს ქაღალდს ანაცვალებენ. ბიუროკრატია—ჩვენი ქვეყნის უსაშინელესი სენიაო, სთქვა ორატორმა—, და თვითეულმა ჩვენგანმა დაუძინებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს იმის თვითნებობას სამშობლოს განთავისუფლებისათვისო. დამსწრენი ოვაციებით მიეგებნენ როდიჩევის სიტყვას და ხანგრძლივი ტაშის-ცემით დააჯილდოვეს.

✦ მინისტრთა კომიტეტის წევრებს ბოლონდელ სხდომაზე საჭიროდ უცვნიათ ერთნაირ წესების შემოღება როგორც პროვინციალურ, აგრეთვე სატახტო ქალაქების ბეჭდვითი სიტყვისათვის. აღნიშნეს ის გარემოება, რომ 1865 წელს გამოცხადებული კანონი უცენზურო გამოცემათა შესახებ ცალმხრივია, რადგან მხოლოდ სატახტო ქალაქების გამოცემათ ეხება, ყველა პროვინციალურ გამოცემისათვის-კი ცენზორის ნებართვაა საჭირო. ამნაირად შევიწროვებულ პროვინციალურ პრესსას შეძლება არა აქვს სამართლიანად გამოარკვიოს ადგილობრივი საკითხებიო. მინისტრთა კომიტეტი პრინციპიალურად სასურველად სთვლის ბეჭდვითი სიტყვა სასამართლოს წინაშე პასუხის-მგებლობას დაუმორჩილოს.

✦ „რუს“-ი იუწყება, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში სავსებით შეიმუშავოს საკითხი რუსეთში ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს დაარსების შესახებ.

✦ მთავრობა თანაგრძნობით მიჰყვებვბია პროექტს იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურთა ზოგიერთი უფლებანი მიენიჭოს განსაზღვრულ ადგილ-მამულის პატრონთ, რომელნიც თავად-აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნიან და რაიმე საყურადღებო ღვაწლი მიუძღვისთ ადგილობრივ საზოგადო ან სახელმწიფო სამსახურში.

✦ საერო განათლების სამინისტროში უკვე შესდგომიან განხილვას საკითხისას ქალთა გიმნაზიების რეფორმის შესახებ.

✦ ამას წინად ვაუწყეთ მკითხველებს რომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იყო აღძრული იმის შესახებ, რომ აღედგინათ დახურული მწერალთა საურთიერთო დახმარების კავშირი. შინაგან საქმეთა მინისტრი პრინციპიალურად წინააღმდეგი არ ყოფილა კავშირის აღდგენისა, მხოლოდ უხერხულად უცვნია ამ ჟამად ამ საკითხის გადაწყვეტა და დროებით გადაუდვია.

✦ რუსეთის ზოგიერთ სოფლების საზოგადოებებმა შუამდგომლობით მიმართეს მთავრობას, რათა დაეხურათ იმათ სოფლებში სახაზინო არაყის სავაჭროები. მთავრობას უყურადღებოდ დაუტოვებია გლეხების შუამდგომლობა.

✦ რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელმა საზოგადოებამ შეიმუშავა კანონ-პროექტი მუშების სახელმწიფო, სავალდებულო დაზღვევისა უბედურ შემთ[illegible] შეეხება არა მარტო ქარხნებისა და მღვიმე-მაღაროების მუშებს, არამედ სამეურნეო მუშებსაც.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს უთანხმოება პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის დირექტორის კონოვალოვისა და პროფესორთა ერთ ჯგუფს შორის, რომელმაც ინსტიტუტში სტუდენტების მღელვარება გამოიწვია.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა განიხილოს მხოლოდ პეტერბურგის, და არა საზოგადოდ რუსეთის, საქალაქო დებულება.

✦ პეტერბურგის ნაფიცმა ვექილებმა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს თანაგრძნობა გამოუცხადონ გომელიდან დაბრუნებულ ვექილებს, რომელნიც მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო იძულებულნი გახდნენ ებრაელთა დაცვისთვის თავი დაენებებინათ.

✦ ამას წინად უმაღლეს მანიფესტის ძალით განთავისუფლეს პეტერბურგში ადგილობრივ უნივერსიტეტის პროფესორი ა[illegible]ჩკოვი, რომელმაც პოლიტიკურ დან[illegible]შაულობის მიზეზით 13 თვე დაჰყო[illegible] სატუსაღოში.

✦ 14 იანვარს პეტერბურ[illegible]ის სამოსამართლო პალატა განიხი[illegible]ავს, წოდებათა წარმომადგენლების დასწრებით, საქმეს მუშების—გელსინის, [illegible] დეშინის, ბედნიაკოვის, ბორისკის და სალდათის ვლასოვის შესახებ, რომელთაც ჰბრალდებათ რეველში სალდათებს შორის მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება.

✦ ირკუტსკიდან სწერენ გაზ. „რუსკ. ვედ.“-ს, რომ რუსეთ-იაპონიის ომის გამო ციმბირის რკინის გზა მხოლოდ ჯარების და სამხედრო სურსათისა და მასალის ზიდვას უნდება, სხვა საქონელი-კი არ იგზავნება რუსეთიდან, რასაც დიდ გაჭირვებაში ჩაუგდია ირკუტსკის მცხოვრებლები: მაგალითად, ირკუტსკში ოქროს ფასადაა ნავთი, შაქარი, სანთელი და სხვა.

✦ პოლტავის გუბერნიის ქ. რომნის პოლიცმეისტერს განკარგულება გაუცია, რომლის ძალითაც ყველა მცხოვრებელს, რომელთაც ნაყიდი ჰქონდათ რემინგტონის სისტემის საწერი მანქანები, ეს მანქანები წაართვეს. ამ მოულოდნელმა განკარგულებამ მეტად ააღელვა ადგილობრივი მცხოვრებლები და უკვე საჩივარი გაუგზავნიათ პეტერბურგში თავ-ხედ პოლიცმეისტრის წინააღმდეგ.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ აცნობა ბესარაბიის საგუბერნიო ერობას, რომ სახელმწიფო საბჭომ საჭიროდ სცნო ერობათა მონაწილეობით განიხილოს საკითხი სახალხო სკოლებში მეურნეობის სწავლების შესახებ. სახელმწიფო საბჭო იმ აზრით ხელმძღვანელობს, რომ ერობას ფრიად საყურადღებო ღვაწლი მიუძღვის რუსეთის საერო განათლების საქმეში, ხელთა აქვს ძვირფასი მასალა ამ საკითხის გამოსარკვევად და საერობო მოღვაწეთ ამისათვის საჭირო გამოცდილება შესწევთ.

✦ ოდესის ტეხნიურმა საზოგადოებამ გადასწყვიტა, ყოველი ღონისძიება იხმაროს სამხრეთ რუსეთში საქარხნო მრეწველობის გასავრცელებლად. საზოგადოებას აზრად აქვს იშუამდგომლოს ტეხნიკურ განათლების მრეწველობისა და საქარხნო კანონების განხილვის შესახებ.

პეტერბურგის ექიმთა საზოგადოებამ ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა გენერლის კოვალიოვის მიერ შეურაცხყოფილ ექიმ ზაბუსოვს, ზიზღით მოიხსენია თავ-ხედი გენერალი და საჭიროდ სცნო სასამართლოში ამ საქმის ხელ-ახლად განხილვა ხალხის დასწრებით, პირუთვნელად, ისე, რომ სასამართლო არავითარ გავლენას არ ემორჩილებოდეს.

✦ მოსკოვის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა მთავრობას სრულიად რუსეთის ქალაქის მოურავთა კრების მოწვევის შესახებ. ამ შუამდგომლობის საპასუხოდ მთავრობამ შეკითხვით მიმართა მოსკოვის მოურავს თ-დ გოლიცინს, დაწვრილებით გვაცნობეთ ის პროგრამმა, რომელიც განხილულ უნდა იქნას განზრახულ კრებაზეო.

✦ გაზ. „ვოლინ“-ში დაბეჭდილია კიევის გენერალ-გუბერნატორის განკარგულება, რომელშიაც ის აზრია გამოთქმული, სასურველია კიევის გუბერნიის მაზრებში ტელეფონი გაიმართოსო, რადგან ამას წინად გუბერნიის სხვა და სხვა ადგილას არეულობანი მოხდა და ადმინისტრაციას რომ ტელეფონი ჰქონოდა, ადვილად ჩააქრობდა უწესოებასო.

წერილები

სამეგრელო. აქეთ ჯერ კიდე ბლომად არიან დროებით ვალდებული გლეხები. „აგერ ორმოცი წელიწადი მალე შესრულდება, მითხრა ერთმა ვალდებულმა და ეს რაღაც „დროების“ გათავებას არაფერი ეშველა. მე ქე დავბერდი, სანატრელ თავისუფლებას ვერ მოვესწარი და ვინ იცის, ჩემ შვილს მაინც ეღირსება თუ არა ის. პირველად ამნაირად კი არ გვესმოდა „დროებით ვალდებულება“, მაგრამ თურმე ვცდებოდით. შრომას მიუჩვეველი და ჯიბა ცარიელი თავად-აზნაურობა ჩვენგან ფიქრობს სულის მობრუნებას, იოლად ხელს არ გვიშვებს და ჩვენ, აპა მიბრძანეთ, ვინ მოგვცა იმათი გასაძღომი“? ასე გულნატკენად უჩიოდა თავის ხვედრს ბეჩავი გლეხი და მე „ტვირთის შემსუბუქება“ ვერ მოვახერხე, საიმედოდ სათქმელი სიტყვა ვერ მოვნახე და მრავალ მნიშვნელოვანად ვსდუმდი.

მართლაც გასაჭირ მდგომარეობაში არიან აქაურები. უკიდურესი სიღარიბეა გამეფებული, უკანასკნელ წლებში სარჩოსაც ველარ იწევენ და თავისუფლების მოპოვება ეხლანდელ პირობებში მხოლოდ საოცნებოთღა დარჩენიათ. საკუთრებას მოკლებულ გლეხს ცოდნაც არა აქვს, რომ მისმა შრომამ ჯეროვანი ნაყოფი მაინც მისცეს. არ იცის, როგორ ისარგებლოს ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულ გარემოთი. არსებული სკოლები მიზანს ვერ აღწევს, სხვა მასწავლებელი არავინა ჰყავთ და, ამრიგად, სრულიათ გარიყული რჩებიან. გაჭირვებაში მყოფმა გლეხმა ბოლოს აქა-იქ თითქო გაიღვიძა და სხვა ჰანგზე მორთო გალობა. ზოგ ადგილას ახალმა ნიავმა დაჰბერა და გლეხმა ადამიანის წმინდა უფლებებზე დაიწყო ლაპარაკი.

სხვა მრავალ დამაბრკოლებელ და ეკონომიურ ცხოვრების წინმსვლელობის შემაფერხებელ მიზეზებ შორის არის ერთი თვალსაჩინოც. აქეთ სოფლებში იშვიათად შეხვდებით რიგიანად მოწყობილ საურმე გზებს. მაგრამ ამაზე უფრო შემაწუხებელი თვით ბუნების გაჩენილი მთის მდინარეებია. ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ კარგს მოზრდილ ჩქარ მდინარეს და ან პატარა ღელეს არ შეჰხვდეთ, აქაურ ხშირ ხანგრძლივ წვიმების დროს ამ რუების აზვირთებული ტალღები რწყვენ ახლო მდებარე მინდვრებსა და ჭალებს და ხშირად წალეკვენ ხოლმე მუშის ნაოფლარსაც. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მეგრელს ფეხშიშველა სიარული ჩვეულებად აქვს. გაუდგება სადმე გზას და იცის სულ პატარა მანძილზე რამდენჯერმე წყალში ჩასვლა მოუხდება (მდინარეებზე ხიდი იშვიათი მოვლენაა, რადგან წყალდიდობის დროს მიაქვს) და ისევ ამჯობინებს შარვალი ამოიწიოს და ფეხშიშველა იაროს.

წელს აქეთ ძალიან სუსხიანი ზამთარი დაიჭირა. დეკემბრის პირველ რიცხვებში განუწყვეტელი წვიმები იდგა და შემდეგ თოვლიც მოჰყვა. ასეთ ცუდ ამინდებში წყლებით მოფენილ უვარგის გზებზე ნახევრად შიშველი მოსწავლე ბავშები 3—4 ვერსზე დადიან სკოლაში. ცოდვა არ არის ამათ კაცმა რაიმე სულიერი საზრდო არ მიაწოდოს? ცოდვაა, მაგრამ ცოდვა და მადლი სად არის? აქ მათ პურის წილ სიპ-ქვას აწვდიან. სკოლის მასწავლებელი უსიტყვო მანქანად გადაქცეულა და ცდილობს მოსწავლეებს მიმიკითა და ხელების ქნევით შეასწავლოს უცხო ენა. ყველა დროის გამოჩენილი პედაგოგები სამშობლო ენას ყოველისავე სწავლის ქვაკუთხედად სახავდნენ. მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის არ არის ნათქვამი!... არა ერთი სოფელი მინახავს ეხვეწებოდა მასწავლებელს, ჩემ შვილს ქართული ასწავლეო. ყველა ღრმად დარწმუნებულია, რომ სამშობლო ენაზე სწავლაა უპირველესად საჭირო. ყველა ჰგრძნობს ამას, მაგრამ რწმენა მარტო როდი კმარა „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს“.

დასახელებულ დეკემბრის ცუდმა ამინდებმა ერთი ადამიანი იმსხვერპლა. მარტვილიდან ხონის გზაზე პატარა რუ ჩამოდის, სახელდობრ ნოღელა. კარგ ამინდებში ვერც-კი შეამჩნევთ მის არსებობას. მაგრამ საკმარისია წვიმა მოვიდეს და ის თვისი შხუილით შორიდან გაცნობთ თავს. მარტვილიდან ხონში დილიჟანი მიდიოდა. მიადგა ნოღელას და წყალი ნაპირებზე გადმოსული დახვდა. მედილიჟნე კარგის ცხენების იმედით არ შეუშინდა წყალს და შეებრძოლა სტიქიონის ძალას, ხოლო ბრძოლაში სასიკვდილოდ დამარცხდა: მღელვარე მდინარის ზღვირთებმა შთანთქეს მედილიჟნე და წვრილი ცოლშვილი ღვთის ანაბარად დაატოვებინეს.

ტეხურის-პირელი

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 იანვარი

ლონდონი, 3 იანვარი. ლონდონური ფინანსიური გაზეთები ბევრსა სწერენ რუსეთის ბიუჯეტზე. საკმაოდ კარგად იხსენიებენ ბიუჯეტს. „ფინანსიალ ნიუს“-ი ამბობს: „ნუ თუ ინგლისელები რუსებსა და რუსეთის ფინანსებს მხოლოდ შეუგნებლის სიშურით უცქერიან კრიტიკულადაო. სრულიად ბუნებრივია გვშურდეს რუსეთის ფინანსთა მინისტრი. ამ მინისტრმა დიდ ომის დროს ისეთი სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა წარადგინა, რომლიდანაც სჩანს, რომ ჩვეულებრივი შემოსავალი ჩვეულებრივ ხარჯს თითქმის 70 მილიონით აღემატება; მინისტრი ჰფიქრობს ამასთანავე, რომ ეს სუმმა ჯრა ჩვეულებრივ ხარჯების დეფიციტს დაჰფარავსო. „ფინანსიალ ტაიმს“-ი ამბობს: „ფინანსების მხრივ რუსეთი, ეტყობა, აღუვავებულ მდგომარეობაშია. ომს უფრო სარგებლობა მოუტანია, ვიდრე ზარალი, 1905 წლის ბიუჯეტის ციფრები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. ბედნიერია რუსეთი, რომ ომის დროსაც ასეთ კეთილდღეობაშია. ბედნიერი არიან ახალ სესხზე ხელის მომწერნი, რომ ასეთ სანუგეშო ცნო[illegible]

კრონშტადტი, 3 იანვარი. დეკანოზი იოანე კრონშტადტელი აზიარეს, იმისი თხოვნის თანახმად. ზიარების შემდეგ ავადმყოფი ძლივს მივიდა ფანჯარასთან და აკურთხა ქუჩაში მრავლად შეკრებილი ხალხი.

კიევი, 3 იანვარი. გაიხსნა კრიმინალისტთა საერთაშორისო კავშირის რუსეთის ჯგუფის კრება. დაესწრნენ გენერალ-გუბერნატორი, სამოსამართლო უწყების მოხელენი, პროფესსორები და რუსეთისა და უცხოეთის გაზეთების 20 კორესპონდენტი. სულ 700-მდე კაცი დაესწრო კრებას. კრების გახსნის დროს თავმჯდომარემ სენატორმა ფოინიცკიმ სიტყვა წარმოსთქვა.

მოსკოვი, 3 იანვარი. მოსკოვის ობერპოლიცმეისტერს გენერალ ტრეპოვს ესროლა მთრომზოვის სავაჭრო სკოლის მოწაფემ პოლტორაცკიმ, 19 წლის ახალგაზდა კაცმა, რომელიც თავის ნათესავ ქალთან, ლეფორტის საბოქაულოს ბებიასთან ცხოვრობდა. ტყვიები მოწამლული აღმოჩნდა. პოლტორაცკის ძმა, უნივერსიტეტის სტუდენტი, გადასახლებული იყო მოსკოვიდან. ტრეპოვი პეტერბურგს წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 28 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	93,95
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,97½
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35
ლონდონისაზე ჩეკები.	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	89½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	419
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	265
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	225

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ორს იანვარს ღამის საგარაკო მატარებელით გაემგზავრავრა ტფილისისკენ თავადი **იასონ სვიმონის ძე ფაღლენიშვილი** და ვერცხლის ქამარხანჯალი **მოჰპარეს** წელიდან შემოხსნილი მძინარეს, ღირებული 150 მანეთად. (1—1—1)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრნიეს ახლოს. (წ.—176—96)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

თამბაქოს ქარხანა სავაჭრო სახლის

ნ. ი. ბოზარჯიანცისა და ამხ.

(ქარხანა არსებობს 1858 წლიდან)

ჩვენის მუშტარის **გასაფრთხილებლად** ვაცხადებთ, რომ თამბაქოს ქარხანამ სანქტ-პეტერბურგის სახელ-ნიერო საზოგადოების

„მირ“-ისა, მ. პ. საფაროვის მემკვიდრეებისა

[illegible] ის პაპიროსები ისეთსავე ყუთებში აწყვია, ისეთივე წარწერა აქვს ეტიკეტებზე, აგრეთვე ფორმა კოლოფებისა და ქაღალდის ფერი, როგორსაც ჩვეულებრივ ხმარობს ჩვენი ფირმა, რომლის ნაწარმოებიც მეტად გავრცელდა.

№ 8. ფასი 10 ცალი 5 კ.

„სიმპატია“ № 15 ფასი 10 ც. 5 კ.

„ნაროდნია“ № 7 ფასი 10 ც. 3 კ.

„ეკონომია“ № 16 ფასი 10 ც. 3 კ.

ამის გამო ვთხოვთ მყიდველთ ამ პაპიროსების მოთხოვნის დროს ყურადღება მიაქციონ.

მთავრობის მიერ დამტკიცებულ ეტიკეტს და საქარხნო ნიშანს. და ყოველ კოლოფზე მოთავსებულ წარწერას.

ნ. ი. ბოზარჯიანცი და ამხ.

მუშტრის მოსატყუებლად „მირის“ ქარხანა თავის ნაწარმოებზე იმავე №№, როგორსაც ჩვენი, ასვამს ისეთ ნიშანს, რომელიც ძნელი გასარჩევია ჩვენის სავაჭრო სახლის ნიშნისაგან. სამართალში მივცემთ სიყალბის ჩამდენთ.

(10—6)

Доз. ценз. Тифлисъ, 4 января 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.